შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა“
2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში

დოკუმენტში წარმოდგენილია შპს „ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის“ 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებლები.

სტრატეგიული მიზანი: სკოლის კურიკულუმის განვითარება

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი კურიკულუმების განვითარება

სკოლაში დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, ახალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა დაეფუძნა გამოცდილების ანალიზს, რის შედეგადაც დაიხვეწა საგნობრივი კურიკულუმები.
ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების სტატუსი: შესრულებული.

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება

ჩატარდა სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხით კმაყოფილების კვლევა, რომლის შედეგადაც ჩამოყალიბდა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი.
ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების სტატუსი: შესრულებული.

სტრატეგიული მიზანი: სკოლის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირება

ადამიანური რესურსის განვითარება

გეგმიური პერიოდის მანძილზე, განხორციელდა თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების გეგმის შედგენა, სკოლის პერსონალისათვის სკოლაში ჩატარდა ტრენინგები/ვორქშოფები, მოწვეული მაღალკვალიფიციური ექსპერტ-კონსულტანტების ჩართულობით.
სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობები დაზუსტდა საჭიროებების გათვალისწინებით.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების სტატუსი: შესრულებული.

დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვა

გეგმიური პერიოდის მანძილზე, საქმისწარმოების ელექტრონული სისატემის დანერგვის მიზნით, შეირჩა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow) და სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია - სუს სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.

გაფორმებულია ხელშეკრულება შესაბამისი მომსახურების შესყიდვის შესახებ. მომზადდა შესაბამისი სერვერი და კვალიფიციური ელექტრონული შტამპი და მიმდინარეობს მოლაპარაკება სკოლის თანამშრომლების ტრენინგის თოაბაზე.

ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების სტატუსი: შესრულებული.

ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებზე რეაგირება

განახლებული ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით, სკოლამ უზრუნველყო კომპლექსური თვითშეფასება. გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, სკოლაში დაიხვეწა პერსონალის მართვის მექანიზმები, განახლდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა/მექანიზმები; შემუშავდა ბიზნეს პროცესების აღმწერი დოკუმენტები; დამტკიცდა საჩივრების განხილვის წესი/სისტემა, რომელიც ითვალსიწინებს ბავშვის უფლებათა კოდექსის მოთხოვნებს; აღიწერა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, მასში ასახულია სკოლის გასული წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება; ასევე, ჩამოყალიბდა მოსწავლის კარიერული განვითარების მექანიზმი.
სკოლამ უზრუნველყო შენობა-ნაგებობის საექსპერტო შეფასება; ასევე, დაწყებულია მუშაობა სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების სისტემის სრულად გამართვის მიზნით.
ამოცანით გათვალისწინებული აქტივობების სტატუსი: შესრულებული.